**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „**ივერია**“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.



**ივანე მიხეილის ძე ძეგველოვი** მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თვისისას, **მიხეილ იოსების ძის ძეგველოვისას**, და სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ საკუთარს სახლში, ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ. მიცვალებულს გაასვენებენ წმ. მარინეს ეკკლესიაში შაბათს, 11 აპრილს, დილის ათს საათზედ. (1—1)



**ტფილისის ცეცხლისაგან ქონების დამზღვეველი საურთიერთო საზოგადოება**

აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ

**საზოგადო კრება,**

რადგან წარსულს 31 მარტს არ შესდგა, ხელ-ახლად, საზოგადოების წესდების მე-27 §-ის ძალით, **დანიშნულია 14 აპრილისათვის, სამშაბათს, სალამოს 8 საათზედ**, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (1—1)



**ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან**

ქართველთა ამხანაგობის წევრებთან გაგზავნილს წერილებში, ტფილისში მცხოვრებ წევრთა შორის, ჩვენდა სამწუხაროდ, შეცდომით გამოტოვებულია ბ-ნი ნიკოლოზ ვასილის ძე მთვარელიშვილი (წევრი სარედაქციო კომისიისა). ვასწორებთ რა ამ შეცდომას, ბოდიშს ვიხდით ბ-ნ მთვარელიშვილის წინაშე. (1—1)



ჩვეულებისამებრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

გამართავს

**მუშტაიდის ბაღში**

**ლატარია-ალეგრის**

თავის ღონისძიებათა განსაძლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში. (5—2)



გამგე კომიტეტი „**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის**“ უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1882 წლის 14 მაისს, 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველია შემდეგი საგნები: ა) წლიური ანგარიში 1891 წლის პირველ აპრილიდგან 1892 წლის პირველ აპრილამდე; ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ $18^{92}/_{93}$ წლისა; გ) სახლის შეძენა საზოგადოებისათვის. (3—2)


## ახალი ამბავი

*** ამ თთვის 13 აბასთუმანში მოელიან მის იმპერატორებითს უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს. ამიტომ კავკავის გზაზედ და ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ დიდი მზადებაა. ამას წინად კავკავში გაჰგზავნეს მისის უდიდებულესობისა და მის ამალისათვის ფოსტის ეტლები, გუშინ-კი ტფილისის სასახლიდგან კავკავის გზის სადგურ „ყაზბეგსა“ და „მლეთში“ გაჰგზავნეს სასახლის ავეჯი, რადგანაც პირველ სადგურში მისი უდიდებულესობა კეთილ ინებებს საუზმის მირთმევას და მეორე სადგურში-კი (მლეთში) სადილი იქნება გამართული. სადგურს „მცხეთაში“ დამზადებული იქნება სამეფო მატარებელი, რომლითაც მისი უდიდებულესობა ამალითურთ მცხეთიდგან ინებებს წაბრძანებას ხაშურს და იქიდგან აბასთუმანს, სადაც ამ ჟამად იმყოფება მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. მის უდიდებულესობას სხვათა შორის კავკასიის მთავარ-მმართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი მეუღლითურთ ახლდება თან. მისი უდიდებულესობა შვილის სანახავად მიბრძანდება აბასთუმანს.

*** ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე ზეგ ტფილისიდგან გაემგზავრება კავკავის გზაზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მისაგებებლად.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ინგლისელი მოგზაური ედუარდ სეაგერი, რომელიც სამეცნიერო აზრით მოვიდა აქ ინგლისიდგან.

*** გუშინ, ამ თთვის 8, ტფილისის საეპარქიო სასწავლებლის მოწაფენი დილით რკინის გზით მცხეთის სამთავრო მონასტერში გაემგზავრნენ, სადაც დარჩნენ საღამომდე და მონასტრის დათვალიერების შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ ტფილისს.

*** სწორედ აღდგომის წინა ღამეს, 4 მარტს, კვირაცხოვლის ქუჩაზედ, ღვინის სარდაფი გაუტეხეს შაქარ კურატაშვილს და ფული და რუმბები გაიტანეს. როგორც შევიტყეთ, პოლიციელს ბაბალოვს ორი რუმბი უკვე უპოვია ტფილისის მაზრის სოფ. მამკოდში და ავაზაკებიც აღმოუჩენია. ესენი ყოფილან ტფილისის მცხოვრებელნი ნიკოლოზ ბიძინაშვილი, გიორგი ჯუგურიშვილი და დავით თამაზოვი. ორი რუმბი სოფ. მამკოდში იქაურს მცხოვრებელს გლეხს გედევან ბერიძეს აღმოაჩნდა.

*** კვირას, 5 აპრილს, ცხენის რკინის გზის ვაგონიდგან გადმოვარდა და ეტლს ქვეშ მოჰყვა ნასვამი სიდორ ბიბიკი, რომელიც ამ ჟამად სამკურნალოში წევს. ბიბიკს ორივე ფეხი და მარცხენა მხარი ისე ძალიანა აქვს დაშავებული, რომ შეიძლება სრულიად დაკოჭლდეს.

*** აღდგომა დღეს ტფილისში ვიღაც კაცი მტკვარში გადავარდა თავის დასარჩობად. წყალში გადავარდნილს დროზედ მიასწრეს და გამოიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, თავის დარჩობის მსურველი ბერძენი გიორგი ხერასკოვი იყო და თავის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ხერასკოვი ერთს წელიწადს დანიშნული იყო თურმე ერთს ქალზედ, ის იყო ჯვარიც უნდა დაეწერათ, რომ უცბად შეიტყო, მისი საცოლე ერთს აფიცერზედ დაენიშნათ და ის-კი არ ენდომებინათ სიძედ. ხერასკოვი ტფილისის მიხეილის სამკურნალოში მოაბრუნეს, მაგრამ სულ იმას გაიძახის, რომ თუ ის ქალი არ მომცეს, თავს არ ვიცოცხლებო.

*** ოთხშაბათს, ამ თთვის 8, ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიის შეგირდები გიმნაზიის დირექტორითურთ რკინის გზით გაემგზავრნენ წმ. შიო-მღვიმელის მონასტერში. შეგირდებთან ერთად გაემგზავრა მონასტრის წინამძღვარი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელიც შეგირდებს რკინის გზის სადგურიდგან ფეხით გაჰყვა მონასტრამდე და იქ შეგირდებს აჩვენა მონასტრის სხვა-და-სხვა ნაშთი და უამბო მისი თავ-გადასავალი. შეგირდები იმავე დღეს უკან დაბრუნდნენ ტფილისში საგანგებო მატარებლით.

*** ჩვენ მოგვივიდა სამი პატარა საყმაწვილო წიგნი კიდევ, შედგენილი ბ-ნ ვლ. აღნიაშვილის მიერ, სათაურებით: „გან“, „დონ“ და „ენ“. პირველ ორის წიგნის შინაარსი უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს თავის დროზე. მესამე წიგნში პატარ-პატარა საყმაწვილო ამბებია მოთხრობილი, მეოთხეშიაც—აგრეთვე. ეს ამბები დასურათებულია ლამაზად დაბეჭდილის მხატვრობით, რომელიც დიდად სახალისოა პატარა შეგირდებისათვის. მეხუთე წიგნი, რომელსაც გასართობის შინაარსი აქვს, სავსეა სხვა-და-სხვა გამოცანებით, ზმებით, რებუსებით, სახალისო საწერებით, ამოცანებითა და პატარ-პატარა საამიცანო ამბებით. თითო წიგნი ორი შაური ღირს. ავტორს დაუმზადებია და გვპირდება, მოკლე ხანში დაიბეჭდებაო კიდეც: „ვინ“, „ზენ“, „თან“, „ინ“, „კან“, პირველ-დაწყებითი ცნობანი მინერალოგია - ბოტანიკა - ზოოლოგიიდგან.

*** ბ-ნს დ. კ—შვილს უთარგმნია ქართულად ბელამის თხზულება „ასის წლის უკან“ და ამ მოკლე ხანში კიდეც დაიბეჭდება ცალკე წიგნად.

*** პარასკევს, 17 აპრილს, ტფილისში კონცერტს გამართავს ბარიტონი ცხომელიძე. ეს კონცერტი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ სულ ქართულს ენაზედ იქნება ნაგალობევი მთელს კონცერტში ყველა საგალობელი. სხვათა შორის, წარმოდგენილი იქნება დუეტი ოპერის „დემონიდგანა“ და „სტრადელადგან“. ამ კონცერტში, ცხომელიძეს გარდა, რამდენიმე სხვაც მიიღებს მონაწილეობას.

*** ამას წინად ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ რატილი თავის მომღერალთა ხოროთურთ ამ ნაალდგომევს პროვინციისაკენ აპირებს გამგზავრებასა და კონცერტების გამართვასაო. როგორც შევიტყეთ, რატილის ხოროს 7 აპრილს ყვირილაში გაუმართავს კონცერტი, 8 აპრილს—ქუთაისში, 9 აპრილს—ახალ-სენაკში. ამას გარდა დღეს, 10 აპრილს, კონცერტი აქვს—ფოთში, 11 აპრილს—ზუგდიდში ექნება და შემდეგ ტფილისშივე დაბრუნდება.

*** ლორის მყიდველები, აქაო-და საქიმიო ლაბორატორიის მიერ შემოწმებულია ლორიო, გირვანქაზედ მყიდველებს შაურს ახდევინებდნენ, მაშინ, როდესაც თითონ სულ ხუთს შაურს იხდიან. თითო ლორი ათი - თხუთმეტი გირვანქა იქნება. ამ გვარად გამოდის, რომ ხუთის შაურის მაგიერ თხუთმეტს შაურს ახდევინებენ მცხოვრებლებს. კარგი იქნება, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. ამას გარდა, რუსეთის დიდს ქალაქებში საქიმიო ლაბორატორიები თითო ლორის გასინჯვისათვის 4—6 კაპიკს იღებენ და ჩვენი ლაბორატორია-კი ხუთს შაურს.

*** როგორც მოგეხსენებათ, ცხენის რკინის გზის გამართვამ ძალიან გაუჭირა საქმე ტფილისის მეეტლეებს. შემოსავალი ძალიან შეუმცირდათ და ისეთს გაჭირვებაში ჩავარდნენ, რომ ბევრმა თავიც-კი დაანება მეეტლეობას. ამას წინად მეეტლეებს კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს: ქალაქის გამგეობას ვსთხოვოთ, რომ თავისუფალ ნიხრით ხალხის ტარების ნება მოგვცესო. რაკი თავისუფალი ნიხრი გვექნება, ბევრჯელ, ცუდად დგომას, ორ შაურადა და სამ შაურადაც ვატარებთ ხალხსაო. ეხლაკი, რაკი სიძვირე ნიხრისა იციან, ხალხი აღარავინ გვეკარებაო. თავისუფალ ნიხრის თხოვნა ბევრჯელ მიურთმევიათ მეეტლეებს ქალაქის საბჭოსათვის, მაგრამ საბჭო, არ ვიცით, რა მოსაზრებით, ყოველთვის უარს ეუბნებოდა.

*** რიონი: 3 აპრილს სადგურ რიონში თავი მოიკლა ამავე სადგურის უფროსმა ლუკაშევიჩმა. თავის მოკვლის მიზეზი არავინ არ იცის. წერილში სწერს, რომ არავის არ დაბრალდეს ჩემი სიკვდილიო. დილის 5 საათზედ ლუკაშევიჩსა და ლიანდაგის უფროსს მუშას, გვარად ჩიონიშვილს, ლაპარაკი მოსვლიათ. განსვენებულმა ჩიონიშვილს შემოჰკრა თურმე სილა და ამანაც მაგიერი გადაუხადა. ამ ამბის შემდეგ მაშინვე წასულა თავისს სახლში და რევოლვერი დაუკრავს საფეთქელში. გვამი 4 აპრილს დაასაფლავეს.

*** სამტრედია: ერთმა ახალგაზდა კაცმა, სახელდობრ პეტრე პავლეს ძემ გელეიშვილმა, განიზრახა სამტრედიაში ბიბლიოთეკისა და ქართულ წიგნების მაღაზიის გამართვა. ბ-ნ გელეიშვილს მთავრობისაგან ნებართვაც აუღია. ამ დღეებში ტფილისშიაც იყო, იყიდა თითქმის ყველა ქართული წიგნი, ჩაეწერა წევრად ქართველ წიგნების ბეჭდვის ამხანაგობაში და წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობასაც მიჰმართა თხოვნით, რომ ნამდვილ წევრად ამირჩიეთ და მიგულეთ აგენტად თქვენის წიგნების გაყიდვის საქმეშიო.

*** მიუსუსლი: გუშინ-წინ, 8 აპრილს, საქონლის მატარებლით ერთი თათარი უბილეთოდ მოდიოდა. კონდუქტორს ზავერტალოვს ეს თათარი სადგურის უფროსისათვის უნდა წარედგინა ფასის გადასახდელად. თათარმა ეს იწყინა და მარცხენა გვერდში დასჭრა კონდუქტორი ზავერტალოვი. დაშავებული ბაქოს სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავე-კი დააპატიმრეს.

*** კოჯლიარი: 5 აპრილს რკინის გზის მე-397 ვერსზედ ხალხის მატარებლიდგან № 3 გადმოვარდა ტფილისის რკინის გზის სახელოსნოს ხარატი, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და მარცხენა ფეხი დაუშავდა.

*** სოფ. დაგეთ-ხაჩ̃ური: აპრილის პირველს დღეებში, ნაშუადღევის 4 საათზედ, აქ პოლოს აბრამოვმა თავისი თხები ქვრივ ხანუმ მოსიაშვილის ბოსტანში შერეკა. პატრონმა დაინახა და თხები უკანვე გამოლალა. ამის გამო პოლოს აბრამოვის შვილმა პეტრემ გინება დაუწყო ხანუმას, წამოავლო დიდს ქვას ხელი და ისე ლონივრად სთხლიშა მარჯვენა საფეთქელში, რომ ხანუმა იმავე დღეს გარდაიცვალა. დამნაშავე მაშინვე შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

12—21 თებერვლისა 1892 წლისა № 425, იმ წესის დადგენის შესახებ, რა წესითაც უნდა იდღესასწაულონ სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელთა მოსწავლეებმა ადგილობრივ ეკკლესიათა დღეობანი.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესმა უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: უწმიდესს სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეს მიერ ამა წლის 4 თებერვალს მე-195 №-რით წარმოდგენილი ჟურნალი საბჭოსი მე-35 №-რი იმ წესის შესახებ, თუ რა წესით უნდა იდღესასწაულონ სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელთა მოსწავლეებმა ადგილობრივ ეკკლესიათა დღეობანი. ბრძანეს: აუცილებელ საჭიროებად სცნო რა განაწესიერონ ადგილობრივ ეკკლესიათა დღეობის დროს ტარების საქმე, უწმიდესმა სინოდმა, სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოს აზრის თანახმად, ამ საგნის გამო შემდეგი წესი დაადგინა: 1) შემცირდეს და საეკკლესიო დღეობა სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლებმა მხოლოდ ორს დღეს იქმონ, ისე-კი, რომ მესამე დღეს საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელში უეჭველად დაიწყონ ხოლმე ჩვეულებრივი სწავლა; 2) თვით ეკკლესიის დღეობა დღეს ლიტურგიის შემდეგ სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელში იმ ხატის წინაშე, რომლის დღესასწაულიც არის, პარაკლისი გადაიხადონ, რომელსაც მასწავლებელნი და სასწავლებლის ყველა მოსწავლენი უნდა დაესწრნენ; თუ სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელი შორს იმყოფება სოფლის სამრევლო ეკკლესიისაგან, ამ შემთხვევაში პარაკლისი მაშინ უნდა გადაიხადონ, როდესაც ეკკლესიის კრებული სოფელში მივა აიაზმის სახდელად, რომელსაც ჩვეულებრივ გადაიხდიან ხოლმე ეკკლესიის დღესასწაულის გამო; 3) ეკკლესიის დღესასწაულის იმავე პირველს დღეს ნასადილევს მოსწავლენი უნდა შეიკრიბნენ სასწავლებელში, მასწავლებელმა დარიგება უნდა წაუკითხოს, შემდეგ საერთოდ საეკკლესიო საგალობელნი უნდა სთქვან და მერე, ს დაც შესაძლებელია, სასწავლებლის მზრუნველთა და გამგეთ ყმაწვილებს წიგნები და სხვა საჩუქრები უნდა დაურიგონ; 4) ეკკლესიის დღესასწაულის მეორე დღეს მოსწავლენი უნდა განთავისუფლებულ იქმნან ჩვეულებრივ სწავლისაგან სადილობამდე, ნასადილევს-კი კვლავ შეიყარნენ სასწავლებელში, დრო კითხვა-გალობით გაატარონ და აგრეთვე, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, გარეთ თამაშობანი გამართონ და 5) სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელთა მასწავლებელნი თავისს ეკკლესიათა დღესასწაულს დღეებში დროებით არ უნდა იქმნენ დათხოვნილნი. ესე ბრძანება სასულიერო უწყების სახელმძღვანელოდ და მის მიერ აღსასრულებლად „საეკკლესიო უწყებანში“ დაიბეჭდოს („სასულ. მოამბე“).

## ქრისტე აღსდგა!

(სააღდგომო წერილი)

ქრისტე აღსდგა!.. ამ ორის სიტყვის თქმა და გაგონება და აღდგომის დღესასწაულის ხსოვნა და მიგებება სანატრელი და სანუკარი მაშინ იყო ჩემთვის, როცა ჯერ კიდევ გულუბრყვილო და უმანკო ბალღი ვიყავი, როცა სული და გული ყოველ გვარის ბიწისა და ბოროტისაგან თავისუფალი მქონდა, როცა უცოდველობასა და უზაკველობას გულთან ერთად სახის-მეტყველებაც მიმტკიცებდა, როცა ვფიქრობდი-კი არა, მრწამდა და მჯეროდა, რომ „ქრისტე აღსდგას“ იმიტომ აღიარებს და ქრისტეს აღდგომას იმიტომ დღესასწაულობს ეს ქრისტიანად წოდებული ერი, რომ ქრისტე სდგას და სადგურობს იმათ სულსა და გულში-მეთქი. მაშინ როგორ ვიფიქრებდი, როგორ წარმოვიდგენდი, თუ სიცილი შესაძლებელი იქმნებოდა იქ, საცა ცრემლის ნაკადული უნდა გამსქდარიყო; თუ ენა ისეთს რასმეს იმეტყველებდა, რასაც გული არ ემოწმებოდა; თუ თვალები დარაჯობას თავს დაანებებდა, როცა მარცხენა ხელი მარცხს გაუმზადებდა თავისს მოძმესა და მოყვასს. ერთის სიტყვით, მაშინ სრულის გულდადებით მრწამდა, რომ ვარდი უეკლო იყო და ქვეყანა უანგარო; მაშინ კაცები ადამიანებად მყავდა დასახული და ცის-ქვეშეთი—სამოთხედ. მაშინ ამ რწმენის გამო ბედნიერი და უზრუნველი ვიყავი: დიდებული დღესასწაული ქრისტეს აღდგომისა დიდებულად მიმაჩნდა, რადგანაც მეგონა, რომ ამ დღეს კაცები თავისს გაადამიანებას დღესასწაულობდნენ. მაშინ ამ ფიქრით ვსტკბებოდი, ხოლო ახლა ამ ტკბილ ფიქრთა მოგონება აზომიერებს გულში მოგროვილის ნაღვლის სიმწარესა და აუტანელობას. ახლა?.. ახლა რაღა ვარ?.. რაღა უნდა ვიყო, როცა ცხოვრების ავან-ჩავანი გავიგე და ამ გაგებამ სრულიად დამამხო და გამანადგურა: ბავშვური უმანკოება და გულ-უბრყვილობა შარშანდელ თოვლსავით გამიქრა; სულსა და გულში ეშმაკები და ქაჯები დაბინადრდნენ და იქ შხამისა და გესლის მორევში ყურჭუმელაობენ; თვალები შურით ამევსო... ერთის სიტყვით, მთელი არსება რაღაც ჯადოსნურის ძალით მომეწამლა და ლამის მთლად ეშმაკის სადგურად გადავიქცე.

ჯერ-ჯერობით წმინდად და ხელუხლებლად ჩემში სინიდისია დაცული, რომელიც ასე ხმა-მაღლად აღიარებს საკუთარს ნაკლს და ხმა-დაბლად მეჩურჩულება სხვის ნაკლულევანებათა გამო. კიდევ ქება და დიდება იმის გამძლეობასა და სიმაგრეს, რომ ამდენს ვაი-ვაგლახში სრულიად არ მოეღო ბოლო. დღესაც იმისის მხილებით გახლავარ ეკკლესიაში, რათა ქრისტეს აღდგომას მივეგებო და დიდებულის სიტყვების მოსმენით წუთიერად მაინც დავსტკბე. ისე-კი განა არ ვიცი, რომ ქრისტეს მცნებას შორს ვუდგევართ და თუ ზოგიერთს ქრისტიანულს წესს ვასრულებთ, ვასრულებთ ისე, სხვათა შორის, მსახიობსავით. თორემ სად არის ჭეშმარიტი და მართლ-მორწმუნე ქრისტიანი?..

დიდს ფიქრსა და საზრში, დიდს გაჭირვებასა და განსაცდელში ვარ დღეს ჩავარდნილი, არ ვიცი, ვის ვუთხრა „ქრისტე აღსდგა“ და ვის მივულოცო ეს კეთილის მძლეთა-მძლეობისა და ბოროტის დათრგუნვისა და განადგურების დღესასწაული, როცა გარშემო კეთილის შევიწროებისა და ბოროტის გაბატონების მეტს არაფერს ვხედავ.

ამ ნაირად თქვენც უნდა მიხვდეთ, არ მინდა ცალკ-ცალკე ვისმეს „ქრისტე აღსდგა“ ვუთხრა, რათა გაყალბებულ გულიდგან ყალბად ამოძახილი „ჭეშმარიტად აღსდგა“ არ გავიგონო. ისევ გაზეთის საშუალებით საზოგადოდ მივულოცავ ჩვენს ქვეყანას და ერს ამ დღესასწაულთა დღესასწაულს.

მაშ ქრისტე აღსდგა, ბატონებო!

ვეცადნეთ, რომ ჩვენც აღვსდგეთ, გამოვფხიზლდეთ, გამოვკეთდეთ, გამოვბრძმედდეთ და მით აღვადგინოთ ჩვენი დაკარგული ჩვენობა. თორემ რა ჰკუა იქნება, რომ წარა მარა ვიძახოთ „ქრისტე აღდგა!“, ეგ მონობის და სიკვდილის დამამხობელი, ხოლო ერთობისა და სიყვარულის მომასწავებელი სიტყვები, თუ საქმით გავნაცარქექიავდებით, დავიქსაქსებით, დავუძლურდებით და თუ არ მონებად, არაფრად სხვად გამოსადეგნი არ ვიქნებით!...

როგორ შეგვიძლიან, რა უფლება გვაქვს, ქრისტეს მორწმუნედ და მოწაფედ ვიწოდებოდეთ, თუ „მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა“ ხსნას ვერ შევიძლებთ და ვერ მოვახერხებთ, ხოლო ხომ იცით, რომ „მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა“ საძებრად შორს სიარული არ მოგვინდება: რაც უნდა მარტოდ-მარტო გვეგონოს ჩვენი თავი, თითოეულ ჩვენთაგანთან ერთი „მაშვრალი და ტვირთ-მძიმე“ მაინც იქნება...

დათიკო ვერმიცანაშვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი. აგერ მეთერთმეტე წელიწადია, რაც აქ არსებობს თელავის სამოქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ ქ-ნი ველიხოვისა იყო. ეს საზოგადოება მუდამ წელიწადს, საშუალო რიცხვით, 13—14 შეგირდს ეხმარება სამოსწავლო ფულის გადახდით და აგრეთვე ზოგჯერ ტანთსაცმელის ყიდვითაც. დაარსებიდგან აქამომდე ხსენებულს საზოგადოებას არა ჰყოლია უმეტესს 11—12 წევრისა, მაგრამ ეხლა-კი როგორღაც ფერი იცვალა. ხალხი მიხვდა, რომ ესეც ერთი სასარგებლო დაწესებულება ყოფილაო, და ამისათვის ბევრი ახალი წევრი შეემატა, ასე რომ „საზოგადოებას“ ამ ჟამად ჰყავს 50 წევრი...

როგორც ანგარიშიდგან სჩანს, 1890 წლისა დარჩენილა 497 მან. 52 კაპ., 1891 წ. შემოსულა: საწევრო ფული 33 მ., „კონცერტიდგან“ დარჩენილა 190 მან. და სარგებელი თანხისა 33 მან. 61 კაპ., სულ 256 მან. 61 კაპ. დახარჯულა: სასწავლო ფულის გადახდაში 180 მ. და შემწეობად მიუციათ 27 მ. 90 კ., სულ დახარჯულა 207 მან. 90 კაპ. მაშასადამე, 1 იანვრისათვის 1892 წ. დარჩა მხოლოდ 546 მან. 23 კაპ.

ეს ფული ძალიან ცოტაა ამ ნაირ საზოგადოებისათვის, რომელიც ამითი ვერ დააკმაყოფილებს სკოლაში ყველა ღარიბს მოსწავლეს. როგორც ყველას მოეხსენება, ამისთანა საზოგადოება ძვირფასი დაწესებულებაა, რადგან თავის მეცადინეობით შეუძლიან დიდი და დიდი შემწეობა აღმოუჩინოს ღარიბ ხალხის შვილებს, რომელნიც შეუძლებლობის გამო ხშირად ირიცხებიან ხოლმე სასწავლებლიდგან.

კვირას, 22 მარტს, „დამხმარებელ საზოგადოებას“ ჰქონდა კრება. ამ კრებაზედ თავმჯდომარე საზოგადოებისა, ქ-ნი ველიხოვისა, ავადმყოფობის გამო არ გამოცხადებულა და, როგორც სთქვეს, სურვილი გამოაცხადა თავმჯდომარეობის თანამდებობი-

# ფელეტონი

## ჩვენი უთავბოლობა.

ვინა სჭამს ქვეყნის ჭირნახულს?

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 68)

ქვეყნის ყოველ ნაირ საავკარგო საქმეს, ხილულს თუ უხილავს, თავისი თავდაპირველი დასაბამი და მიზეზები მოეპოვება. მხოლოდ, როგორც ვიცით, ჯერ მეცნიერება ვერ მისწვდენია გონებით და ვერც ასე მალე მისწვდება და შეიგნებს იმ ქვეყნის ყოველ ნაირ საავკარგო საქმეების მიზეზების მიზეზებს, რომელთა გამოცნობითაც შეიძლებოდა უტყუარის ჭეშმარიტების კანონები დაედგინათ რომელისამე ცხოვრების საგნებზედ ქვეყნის მეცნიერთ ქვეყნის საბედნიეროდ. ჩვენის ხალხისა და მის ჭირნახულის ბედუკუღმართობის მიზეზების მიზეზი-კი იმდენად მარტივი და ცხადია ცოტა-მატად შეგნებულ გლეხისათვისაც-კი, რომ იმ მიზეზებს თითოეულად ჩამოკითვლიდათ თითებზედ, თუკი თქვენი კეთილი გული მოისურვებდა ამას ქვეყნის ეკონომიურის მდგომარეობის უბრალო ცნობის-მოყვარესავით შესატყობლად, შორს გამსჭვრეტელ მეცნიერივით შესასწავლად, თუ კეთილ მეფესავით მალამოს მოსაპოვებლად. მაგრამ... როცა კაცს სხვისა ჭირი ლობის ჩხირად მიაჩნია და სულ სხვას ჰფიქრობს, სხვისკენ ფრინავს, მაშინ თვალ-წინ ნადგომ კამეჩებსაც ვერ დაინახავს, მეტადრე იქ, სადაც людей много, а человѣка нѣтъ. ეგრე რომ არ იყოს, შავ-ბედისაგან მწარედ დაჩაგრული, უვიცი და უშემწეო გლეხი აღარ იტყოდა გულ-ამდუღრებული თავისის გულიდგან პოეტის ენით გამოჭრილს მწუხარებას: „მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის, ჩემის კაცობის გულის დუღილის სიტყვანი გულში მებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან“.

ღმერთო, მომგვარე მუშასა ბლომა ღვინო და პური, რომ მოყვრის გულმა იხაროს და მტერსა ჰკლავდეს შური; ღვთისნიერო მუშა-ბრძენო, ღამის თეთრად გამათენო, შენ შეგჩივლო ჩემი ჭირი, თუ ხელმწიფეს მოვახსენო? მაგრამ მე ყურს ვინ დამიგდებს, ღმერთი მომგვრის მოსავალსო, ის დამიხსნის ჭირისაგან: მომაშორებს მგლების ვალსო; გულმოქარგულო მინდორო, მთა-ჰალატყიან-წყლიანო, მოგვხედე, შენი ჭირიმე, ვალი გვკიდია, გვშიანო,— დაჰლილინებს დღე და ღამე შავს მიწას გლეხი, მაგრამ ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და დალვარაო. ასეთი საქმე ემართება უცოდინარობით ჩვენის ქვეყნის გლეხკაცობასაც: წლის-წლობამდის შრომობს, ირჯება, იტანჯება, წელებზედ ფეხს იდგამს, ვაი-ვაგლახის ხვითქი გადასდის სახეზე, იმის ჭირის ოფლით მიწა ირწყვება და, ღმერთო, რას არ იტანს დღე და ღამე: სიცხეს, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, ულმერთო მოვალეებისაგან და გაუთლელ „ხაზეინ“-ალებისაგან ლანძღვა-გინებას, მუქარას, თავში ცემას და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენს ჭირსა და უსამართლობას, და ბოლოს ის გამოდის აქედგან, რომ ჭირნახულის ჩაკლების უმალვე დაესევიან ხოლმე გლეხობას მშიერ მგლებივით ათასი სოფლის ჭამია-მოღალატენი, აცლიან ხელიდგან წლის სარჩო-საბადებელს და აგდებენ ცარიელ-ტარიელს. მეტი რაღა გზა აქვთ იმ ცარიელ-ტარიელებსაც, უნდა წავიდნენ ისევ თავისს სულთამხუთავ მოვალეებთან, ხელმეასედ ჩაუვარდნენ ფეხებში და ერთი-ათად ივალონ ფული იქნება თუ პური სილატაკისაგან დამწვარდადაგულ ოჯახის გამოსაკვებად.

კახეთ-ქიზიყის გლეხ-კაცობა შეიძლება გავყოთ სამ წრედ: შეძლებული, მარტო-ხელა და ხელ-მოკლე, ანუ: თავი-კაცი, შუა-კაცი და ბოლო-კაცი. ჯერ თვალი გადავავლოთ წლიურ შემოსავალს იმ გლეხ-კაცობის უმრავლესობისას, რომელსაც ეძახიან ხელ-მოკლე კაცებს, და მერე მივუბრუნდეთ სხვებს. ხელ-მოკლე კაცებს ეძახიან იმათ, ვისაც-კი ან ერთი მოჰაბუკებული სახლის კაცი და ან მოსწრებული ვაჟიშვილი მოეპოება. ზოგი ერთს ხელ-მოკლე გლეხს კი არც ძმა ჰყავს მოსწრებული და არც შვილი, მარტო თითონ ემსახურება ოჯახსაც, თითონ აცხოვრებს მოხუცს დედ-მამასაც, ცოლ-შვილსაც, მცირე-წლოვან ძმებსაც, დებსაც და ბევრნი—თავიანთ ქვრივს რძლებსაც და იმათს ობლებსაც. დაახლოვებით წლიური შემოსავალი ხელ-მოკლე კაცისა შემდეგია: 40 ან 50 კოდი პური, ამდენი ქერი და ამის ნახევარი ფეტვი იქნება თუ სიმინდი, ორმოციოდე ჩაფი ღვინო და, თუ ორიოდე ცხვარი ან ღორი მოეპოება, იქიდგანაც ხუთიოდე მანათის გამორჩომა წელიწადში. ხელ-მოკლე გლეხს ერთის ურმის საქონელიც მოეპოვება, მაგრამ წლის-წლობამდის იმ ხარ-კამეჩსაც და თავის თავსაც მარტო თავის საოჯახო საქმეებს ანდომებს: ხვნაში, ფარცხვაში, მკაში, ლეწვაში, საფქვავში, სთველში, ბეგარაში, მუშების ვალში, სარისა და შეშა-ფიჩხის მოზიდვაში და სხვაში. აქ აღარც ამ ოჯახის მანდილოსნების ხელ-საქმით და მცირეოდენის აბრეშუმის ჭიით მონაგრებული ჩაიგდება სათვალავში, რადგანაც დღეს ეს მანდილოსნებიც უსარგებლო „მოედნებს“ მიზდევენ და ოჯახის დამღუპავს მოსართავებში ატიალებენ ცუდ-უბრა-

დგან განთავისუფლებისათ. ქ. ვოლოხოვისა მადლობის ღირსია ხანგრძლივის სამსახურისათვის. ახალ თავმჯდომარედ თითქმის ერთ-ხმად ამოირჩიეს ქ-ნი ეკატერინე სოლომონის ასული აბელიშვილისა და იმის თანაშემწედ-კი ბ-ნი ციცქიშვილი. იქმნენ აგრეთვე ამორჩეულნი ახალი გამგეობის წევრნი, სხვათა შორის ქ. ტერ-სტეფანოვისა.

იმედია, ახლა უფრო კარგად მოეწყობა საზოგადოების საქმე და ახალი თავმჯდომარე და ახალნი წევრნი გამგეობისანი მხნედ შეუდგებიან თავიანთის წმიდა მოვალეობის აღსრულებას.

ლ. ხ—ძე

# რუსეთი

სასოფლო სკოლების მასწავლებელთა გაჭირვებულს მდგომარეობის შესახებ ძლიერ ბევრი დაწერილა რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ, საუბედუროდ, ამითი სოფლის მასწავლებლებს არა ეშველათ-რა. სოფლის მასწავლებლები ძლიერ შევიწროებულნი არიან. ჯერ რა მცირე ჯამაგირი აქვთ ამ მასწავლებლებს და ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ ამ ჯამაგირსაც დროზედ არ აძლევენ. ამას წინად რუსეთის გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ სარატოვის გუბერნიაში, ნოვოუზენის მაზრაში სოფლის მასწავლებლებს ამ წლის 1 იანვრიდგან ჯერ ჯამაგირი არ მიუღიათ და ამის გამო „შევიწროებულნი" არიანო. სამწუხაროდ, ასეთი ამბავი იშვიათი არ არის. ხშირად მოხდება ხოლმე შემდეგი ამბავიც. უმანის მაზრის სოფ. სტეპკოვის სამრევლო სკოლაში მისულა ახლად დანიშნული მასწავლებელი ბ-ნი კ. იმ დღესვე რამდენიმე ყმაწვილი შეუგროვებია სკოლაში და სწავლა დაუწყია. ამ დროს სკოლაში მოიჭრა თურმე ეტლით კარგად შეზარხოშებული მამასახლისი და ბ-ნს კ—ს გამოძიება დაუწყო, ვინა ხარ და რა უფლებით ასწავლი ყმაწვილებსაო? ამაოდ უმტკიცებდა მასწავლებელი, რომ ამ სოფლის მღვდლის თანხმობით ვარ ამ სკოლაში მთავრობის მიერ მასწავლებლად დანიშნულიო. მამასახლისი გაგულისდა. სოფლისა და სკოლის უფროსი მე ვარო და შენ არ გიცნობო. ბოლოს ისე გაცხარდა, რომ ყმაწვილები სკოლიდგან გარეკა თურმე, მასწავლებელიც ოთახიდგან გარედ გამოაგდო და ბარგიც გადამოუყარა. ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რად ანებებენ თავს სოფლის მასწავლებლები თავისს წმიდა და სასარგებლო მოღვაწეობას. ადამიანს სიმშილითა და წყურვილით ჰკლავენ, უკიდურესს მდგომარეობაში აგდებენ, თავ-მოყვარეობას ულახავენ. მაშ რა საკვირველია, რომ მასწავლებელიც პირველს შემთხვევას ეძებს და თავისს მოვალეობას თავს ანებებს. რასაკვირველია, რომ ყოველ მხრივ შევიწროებულსა და გაჭირვებულს მასწავლებელს თავისს საქმეზედაც გული უცრუვდება. სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. სკოლისთვის დახარჯული ფული დაკარგული არ არის და თავისს ნაყოფს მოიტანს. ამიტომ ძლიერ საჭიროა, რომ მთავრობამაცა და ერობამაც ამ საქმეს შესაფერი ყურადღება მიაქციოს და ეცადოს, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, დაეხმაროს გაჭირვებულს სოფლის მასწავლებლებს და მათი მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესოს.

# უცხოეთი

**ინგლისი.** დურგამის მადნების მომუშავეთა მიერ მუშაობის აღკვეთამ ძლიერ შეამცირა მუშაობა ინგლისის რკინის ქარხნებში. მარტო კლევლანდში 76 ქარხანა დაიკეტა. თითო ქარხანაში სამასზედ მეტი კაცი მუშაობდა და ეხლა ეს ხალხი უსაქმოდ დარჩა. კლევლანდისავე რკინის მადნებში 6,000 კაცს შორის 5,000 უსაქმოდ არის დარჩენილი. ისტონში ფოლადის ქარხნები დაიკეტა და 2,000 კაცზედ მეტი უსაქმოდ არის. სხვა დიდი ქარხნებიც ამავე მდგომარეობაშია. მარტო კლეველანდისა და მიდლსბროს რკინის ქარხნებში 12,000 მომუშავე კაცი ამ ჟამად სრულიად უსაქმოდ არის დარჩენილი.

**საფრანგეთი.** 28 მარტს დეპუტატთა პალატის კრება მთელს დღეს ეკკლესიათა საქმეს მოუნდა. იულტუსმა ჰკითხა პრეზიდენტს: მართალია თუ არა, ვითომ მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ პოლიცია არ გაერიოს იმ უთანხმოებაში, რომელიც ეკკლესიებში მოხდებაო? ლუბემ უპასუხა, აგეთი განკარგულება მთავრობას არ მოუხდენიაო. იულტუსი ამტკიცებდა, რომ პარიჟისა და პროვინციების ეკკლესიებში მომხდარი არეულობა პრეზიდენტის იმ სიტყვამ გამოიწვია, რომელიც მან პალატაში წარმოსთქვაო. ამას შემდეგ ჟურდალმა წაიკითხა იმ წერილის შინაარსი, რომელიც მანდის ეპისკოპოსმა მისწერა თავისს ეპარქიის სამღვდელოებას. აი ეს წერილი: „საყვარელნო ძმანო! ჩვენმა წმიდა პაპმა მოგვწერა, რომ ყოველგვარი ღონისძიება იხმარეთო იმათ წინააღმდეგ, ვინც სარწმუნოებას და სამღვდელოებას ებრძვის... ეცადეთ, რომ თქვენს ეპარქიაში მომავალ არჩევანების დროს მხოლოდ კეთილ-მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ არჩეულნი დეპუტატად. ყველა კანდიდატს პირობა უნდა ჩამოართვათ, რომ პალატაში მტკიცედ დაიცვას ჩვენის სარწმუნოების ინტერესები. კარგად იცოდეთ, თუ ვინიცობაა თქვენგან არჩეული დეპუტატი პალატაში სარწმუნოებას წინააღმდეგ იმოქმედებს, მაშინ თქვენ იქნებით ღვთის წინაშე პასუხის მგებელნი» ამ წერილის წაკითხვის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა რიკარმა სთქვა, რომ მთავრობა არავის არ მისცემს ნებას, რომ მანდის ეპისკოპოსისავით მანიფესტაციები მოახდინოსო. მომივა თუ არა პრეფექტისაგან ეგ წერილი, სახელმწიფო საბჭოს წარვუდგენ და ეპისკოპოზს ჯამაგირს შევუკრავო. კასაჟნიაკმა უპასუხა: როცა თქვენ ეპისკოპოზს ჯამაგირს შეუკრავთ, მე იმ წამსვე იმის სასარგებლოდ ფულს შევაგროვებო". მინისტრმა რიკარმა პალატას ორი წიგნაკი წარუდგინა, ეპისკოპოსის მიერ ნება დართული და მოწონებული. ამ წიგნაკებში სწერია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის სასკოლო წესების დაკანონება თვით დანაშაულია, მავნებელია, დამღუპველი და სხ. „თქვენ უფლება გაქვთო, განაგრძო მინისტრმა, რომ რესპუბლიკის კანონები გაჰკიცხოთ და იმათი შეცვლა ითხოვოთ. ეს უფლება ყველა საფრანგეთის მოქალაქესა აქვს მინიჭებული. ეპისკოპოსნი კი, რადგანაც სახელმწიფოს ემსახურებიან და ჯამაგირიც ეძლევათ, ამ უფლებას მოკლებულნი არიან. ამიტომ სამღვდელოების ყველა ის წევრი, რომელიც რესპუბლიკის კანონის გაკიცხვას გაჰბედავს, სამართალში იქნება მიცემული. განა ჩვენ არ ვიცითო, განაგრძო მინისტრმა, რითია გამოწვეული სამღვდელოების მანიფესტაციები და რას ელტვიან? 1 მაისის არჩევანები მოახლოვდა და სამღვდელოებას სურს დაგვიმტკიცოს, რომ ყველა აქ მყოფნი ვითომ-და სარწმუნოების მტერნი და მოწინააღმდეგნი ვიყვნეთ, მაგრამ ეს ტყუილია, რადგან ყველამ კარგად იცით, რომ ჩვენ პატივსა ვსცემთ ჩვენს სარწმუნოებას". მინისტრის სიტყვას ხანგრძლივი ტაშის კვრა მოჰყვა. პალატამ 317 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 165-სა გადასწყვიტა: მიიღოს ყოველივე ღონის-ძიება ეკკლესიებში უწესოების მოსასპობლად და იუსტიციის მინისტრის, რიკარის სიტყვა საჯაროდ გამოაცხადოს.

# გასართობი

(ამოცანები მოზრდილთათვის)

რკინის გზას მატარებელი ერთის სადგურზედ 2 წამს უნდა გაჩერდეს, მაგრამ აგერ 15 წამია, რაც გაჩერებულია. ობერ-კონდუქტორი თითო ბუტერბროდის დაღეჭვას 7 წამს უნდება და თითო ბოთლ ღვინის დალევას 5 წამსა. გამოიცანით: რამდენს ხანს შემდეგ დაიძვრის მატარებელი?

— ლუარსაბ თათქარიძე დიდ-მარხვაში თითო ჯერზედ მხოლოდ 7 თავს საჭმელსა და $1\frac{1}{2}$ თუნგ ღვინოს მიირთმევდა. გამოიცანით: ხსნილში რამდენს თავს საჭმელსა და რამდენს თუნგს ღვინოს მიირთმევს თათქარიძე თითო ჯერზედ?

— ქალაქ ფეხმისტეხში 8 საათსა და 13 წამზედ ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგურს ცეცხლი წაეკიდა. სადგურის დარაჯმა ეს ამბავი 21 წამის შემდეგ შეატყობინა ცეცხლის მქრობელს რაზმსა. გამოიცანით: რამდენს ხანს შემდეგ შეატყობინებს ცეცხლის მქრობელს რაზმს სადგურის დარაჯი, თუ ვინიცობაა ისეთს სახლს წაეკიდა ცეცხლი, რომელიც სადგურიდგან 52 საჟენის მანძილზეა მოშორებული?

— გაზეთის „არა-მეთიხე მიამბეს" პროვინციელს კორესპონდენტს რედაქციიდგან თვეში 30 მანათი ჯამაგირი ეძლევა. გამოიცანით: რამდენი თავ-პირზე დასხდება მალამო მოუნდება ამ კორესპონდენტს, თუ ადგილობრივს აფთიაქში მალამოს 1 ჟუნცი ღირს $1\frac{1}{3}$ კაპეიკი?

— ერთმა ქურდმა 4 სახლი გასტეხა, 7 დუქანი და 19 კაცს ჯიბიდგან ფული ამოაცალა. ამ რაინდობისათვის სასამართლომ ორის თვით კადით ციხეში დაასპატიმრა. გამოიცანით: რამდენს სახლს გასტეხავს ეს ქურდი, რამდენს დუქანს და რამდენს კაცს გასძარცვავს, როცა ციხიდგან გამოუშვებენ?

???

# დეპეშა

5 აპრილი

**პეტერბურგი.** გაზეთ „С.-Пет. Вѣд."-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ახალი დებულება გზის ბეგრის გარდახდისათ. საზოგადო წესით დადგენილია, რომ ამიერიდგან ეს ხარჯი ფულად უნდა გადაიხადონ.

**პარიჟი.** ზანზიბარიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ კათოლიკეთა მისსიას უგანდში თავს დაეხსნენო, რამდენიმე მღვდელი ტყვედ წაიყვანეს და დიდ-ძალი გაკათოლიკებული ადგილობრივი მცხოვრებელი ჩახოცესო. საფრანგეთის ელჩმა ინგლისის მთავრობას მოსთხოვა, რომ ამ საქმის გამო სასტიკი ღონისძიებანი იხმარეთო.

---

ლოდ იმ თავიანთ ხელით ნაშრომნალვაწსაც და თავიანთ კაცების ქირის ოფლით ნაწვავ-ნადაგ ჭირნახულსაც. ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ექვშაურიანი ქოშებიც-კი ენატრებოდა გლეხის ქალს და დღეს-კი ექვს მანათიანი „პოლსაპოჭკები" თუ არ აცვია, თავს მოიკლავს. ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, სხვა რაღამდენი მსხვილ-მსხვილი „მოდნები" მოუნდება ფეხებიდგან თავამდის ჯერ ერთს — იმავე ექვს მანათიან „პოლსაპოჭკიანებს", და მე-კი ისევ ჩემსას მივუბრუნდები. რაც შეეხება შინაურ ფრინველების და ბაღეულ-ბოსტნეულობის გასყიდვით სარგებლობას, ეს სათქმელადაც არა ღირს: შინაურს ფრინველებში იმათგან შეჭმულ საკენკის ფასსაც ვერ იღებენ და ორის შაურის ბოსტნეულის მუშტრის ძებნაში სამის შაურის ფეხსაცმელსა სცვეთავენ. მაშასადამე, ხელ-მოკლე გლეხის უმთავრესს წლიურს შემოსავალს და იმის ერთადერთს იმედს ცხოვრებისას შეადგენს: სულადი და ღვინო. ამ სულადმა და ღვინომ უნდა აცხოვროს წლისწლობამდის მთელი იმისი ოჯახი; ამ სულადმა და ღვინომვე უნდა გაისტუმროს იმისი დღეობაც, ნათლობაც, ნიშნობაც, ქორწილიც, ქელეხიც, წირვაც, რიგიც, სალმრთოც, ბატონიც, მოვალეც, მეველეც, მუშაც, მოჯამაგირეც, ფოსტის ფულიც, მღვდელიც, მასწავლებელიც, დალაქიც, დიაკვანიც, მნათეც, ჩინოვნიკიც, პრისტავიც, აბლაკატიც, „ლესნიჩიც", მამასახლისიც, სუდიაც, მწერალიც, გზირიც, ჩაფარიც, ამბარდანიც, ხუროც, მჭედელიც, მეტყვევც, მესაბლეც, მენაბდეც, ექიმიც, მკითხავიც, შემლოცველიც, გლახაც, სტუმარიც, მეწვრიმალე გალუსტაც, მეფარჩე ტირაკუზაც, მიკიტანი მარტირუზაც, დალალი ასატურაც, მებაშმაკე ხეჩატურაც, და სხვანი მრავალნი სოფლის ჭამია ბობოლები, მეოინბაზენი და მოღალატენი. მერე როგორ და რა გზით უნდა გაისტუმროს იმ ხსენებულმა სულადმა და ღვინომ ეს ამოდენა გულის გადმომბრუნებელი დოყლაპია ჯარი და ჯამაათი, რომლისაც, წვრილად რომ ვიანგარიშოთ, ხსენებული ღვინო-სულადი პატრონის ოჯახსაც და ოჯახის მიუცილებელ საჭიროებასაც ძლივს-ძლიობით მიაღწევინებს ახალ-მოსავლამდის. დიალ, საქმეც იმაში გახლავთ, რომ თხის პატრონს თხის კუდსაც აღარ ანარჩუნებენ, რის გამოც ყოველ სოფელში, თუ-კი გონების თვალით ჩაუკვირდებით, შემდეგს მოიხილებთ: სოფლის ჭამია ვაჭრებს, მოვახშეებს და მოქრთამე მოხელეებს თავ-პირზედ საყრელი აქვთ ცივცივი ნუნუაც, თეთრი შოთებიც, დანივრული არტალაც, სურნელოვანი ფლავ-ბოზბაშიც, მცვრიანი მწვადებიც, თართის დოშ-ხიზილალაც, და იმათგან უსულღმერთოდ გაყვლეფილ და ვალებში ჩავარდნილ გლეხობას-კი ქერის პურის ჭამით ღრძილები გადასტყავებია, ჯანი გამოჰლევია და გონება დაოსლებია. დიდად დასაფიქრებელი-კი უფრო ის არის, რომ სიღატაკისაგან ჯან-დალეულები და ჭკუა-გამოცლილები დღითი-დღე უჰრავლდებენ ქვეყანას, თავიანთ მსგავსს ჩამომავლობას მრავალთა სავაგლახოდ.

ამ ხელ-მოკლე გლეხებზედ უფრო მეტს ვალსა და გაჭირვებაში იხრჩობიან ის მარტო-ხელა კაცები, ვისაცკი ხუთი და ექვსი შესანახავი უზის სახლში და თითონ-კი არც ერთი ამომშველებელი სახლის კაცი მოეპოება, არც ვენახი, არც ცხვარი და არც ხარი; რაც რამ ჰბადებია თავისის სისაწყლისა, ყველა უსამართლო მოვალეებს გამოუცლიათ ხელიდგან და დარჩენილა მოწნეხილ ქოხის სინაზარას სხვის ჯიბის შემაყურებელ ყურ-მოჭრილ მუშამოსამსახურედ. თუ ვისმე მარტოხელას ცოტაოდნად პირში სული უდგა, ისიც იმას, ვინც რომელიმე ხელობა იცის, ან ვისაც ერთისა და ორის მეტი არავინა ჰყავს შესანახი. სოფელში შეძლებულებს კიდევ იმათ ეძახიან, რომელნიც თეთრს თხასა ჰგვანან და მსუქანი ჰგონიათ, მაგრამ თუ ახლოდგან ჩაუკვირდებით იმათს ცხოვრებას, ჰნახავთ, რომ არც ფული აქვთ, არც ვალი, არცა ჰშიანთ, არც გამაძღარნი არიან: რასაც შოულობენ, იმით ცხოვრობენ, ანუ: თავდათავ გამოდიან, — როგორც თითონ იტყვიან ხოლმე; ასეთი „შეძლებულები" თითო სოფელში ოც კომლამდის მოიპოვება. არიან, რასაკვირველია, ისეთი მდიდარი და გაძლიერებული ოჯახის გლეხებიც, რომელთაც სკივრებში ასიგნაციები უობდებათ თავიანთ უკოდინრობით, დიდი ვენახები და სახნავ-სათესი აქვთ და მრავალი ცხვარი, ძროხა, კამბეჩოზა, ცხენი და ღორი მოეპოებათ, მაგრამ ასეთი ოჯახები ბევრი-ბევრი ორი ან სამი მოიძებნებოდეს თითო სოფელში, და ჩვენს კახეთ-ქიზიყის თითოეულს სოფელში-კი, რომ არ შემრცხვეს, ცხრაას კომლიდგან მოკიდებული ორას კომლზე ნაკლები აღარა სცხოვრობს. აბა რა საერთო მშვიდობა და კეთილდღეობა უნდა იყოს იქ, სადაც ხუთიოდენი უდარდელად სცხოვრობენ, ასისა და ორასის ნაჭირნახულევით და ძალ-ღონით სიმდიდრეზე სიმდიდრეს უმატებენ და ის ასი და ორასი-კი ვალვახჩის ჭირ-ვარამში იხრჩობა და იღუპება სიღატაკისაგან?

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

**სოფია.** ბოლგარიის მთავრობამ პორტას ნოტა გაუგზავნა, რომელშიაც დაწვრილებით არის აღნიშნული ყოველივე გარემოება ბელჩევისა და ვულკოვიჩის სიკვდილისა. დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ კანონიერად იქმნას ცნობილი აწინდელი ბოლგარიის წესებიო.

6 აპრილი

**პეტერბურგი.** მინისტრმა გირსმა ღამე მშვიდობიანად გაატარა; კარგად ეძინა. დღეს დილით ტემპერატურა 36,8 ჰქონდა.

**კურსკი.** თბილი წვიმა მოვიდა; მინდვრები ამწვანდა.

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ დევონპორტში, პლიმუტს ახლოს, ამ წლის ივნისში რუსეთის სამხედრო ხომალდები მოვლენო ინგლისის ფლოტის ალლუმზედ დასასწრებლად. რუსეთის ესკადრას ისეთისავე დიდის ამბით დაუხვდებიან, როგორც შარშან საფრანგეთისას დაუხვდნენ პორტსმუტშიო.

7 აპრილი

**პეტერბურგი.** 5 აპრილს საზამთრო სასახლის ტაძარში ლიტანიობას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და საიმპერატორო გვარეულობის წევრნი. ღვთის-მსახურების შესრულების შემდეგ მათ უდიდებულესობათ მიულოცეს და შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ სასახლეში, სადაც სააღდგომო სუფრა იყო გაშლილი.

4 აპრილს, საღამოს 9 საათსა და 45 წუთზედ, საზამთრო სასახლის რამდენსამე დარბაზში უეცრად ჩაქრა ელექტრონის სინათლე; ბოლოს აღმოჩნდა, რომ სხვენში, გიორგის დარბაზს ქვეშ, ტყვიის შემაერთებელი მართული დამდნარიყო; უნდოდათ ელექტრონის მანქანა ხელ-ახლად გაეკეთებინათ და ოსტატმა ახალი მართული მიუმაგრა, მაგრამ სხვა მართულებს უცბად მოახვედრა ხელი, ცეცხლი გაჩნდა და თუჯის ყუთის ქვეშ მყოფს კუნძებს მოეკიდა; ახლად გაჩენილი ცეცხლი მაშინვე ჩააქრეს ცეცხლის-მქრობლებმა. 5 აპრილს ელექტრონის მანქანა კვლავ გამართეს და მოაწყეს.

**სარატოვი.** ვოლგაზედ ნავოსნობის დაწყება უკვე შესაძლებელი შეიქმნა.

**პარიჟი.** გუშინ ტროკადეროში კონცერტი იყო გამართული რუსეთის მოუსავლობით დაზარალებულ ადგილების მკვიდრთა სასარგებლოდ. პრეზიდენტის კარნოს წარმომადგენლებად კონცერტზედ ორი მისი ადიუტანტთაგანი დაესწრო. კონცერტს კარგი შემოსავალი ჰქონდა.

8 აპრილი

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ წმიდა მარხულობისა და მოქანცვის გამო, მიტროპოლიტმა ისიდორემ ვნების კვირის დამლევს თავს უძლურება და სისუსტე დაატყო; მცირედ გულიც-კი წაუვიდა, შემდეგ თვალის სინათლე დაჰკარგა და თითქმის აღარასა ჰგრძნობდა. ეხლა-კი ყოველმავე ამან გაუარა; თვალის სინათლე კვლავ დაუბრუნდა და უკვე კარგად არის.

**ლონდონი.** გუშინ, საღამოს 7 საათზედ, რუსეთის საელჩოში მობრძანდნენ გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა სადილისათვის დანიშნულს ვადაზედ. სადილი მათ უდიდებულესობათა პატივსაცემლად იყო გამართული. იმპერატრიცა საელჩოში $9^1/_4$ საათამდე დარჩა, იმპერატორი-კი მხოლოდ საღამოს $11^1/_4$ საათზედ წაბრძანდა.

„Frankfurter Zeitung“-ი, ჰერცოგინია ედინბურგელის სურვილის თანახმად, აცხადებს, რომ სიმართლეს მოკლებულია ის გავრცელებული ხმა, ვითომ ჩემი ქალი პრინცესა მარია რუმინიის ტახტის მემკვიდრეზედ იყოს დანიშნულიო.

**პარიჟი.** თუმცა აქამდე მოსული ამბები იმედს იძლევა, რომ შეიძლება მაისის პირველმა დღემ მუშათა მხრივ მშვიდობიანად ჩაიაროსო, მაგრამ მაინც შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა პრეფექტებს და გამოაცხადა, რომ 1 მაისს აღკრძალულია ქუჩაში ყოველისავე მანიფესტაციისა, კრებისა და პროცესიების გამართვაო.

**სტამბოლი.** სულთანი ძალიან აღელვებულია იმის გამო, რომ ფირმანის საქმეში დამარცხდა. თვით ქედივის ინვესტიტურის დღეს სულთანი, როდესაც ჰირკაი-შერიფის დღესასწაულიდგან ბრუნდებოდა, ქედივად ნამყოფ იზმაილ-ფაშას სასახლესთან გაჩერდა, დიდად მოწყალედ მოექცა ქედივად ნამყოფს და თავისს სუფრაზედ მიიწვია. აქაური სადიპლომატიო წრეები იმ აზრისანი არიან, რომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვსო.

**ბერნი.** გუშინ მოაწერეს ხელი იტალიისა და შვეიცარიის სავაჭრო ხელ-შეკრულობას.

**ბერლინი.** ამ რამდენისამე დღის წინად გაიქცა უმცროსი კასსირი „მ. ა. როტშილდისა და შვილების“ ფრანკფურტის სავაჭრო სახლისა, ეგერი. ბირჟაზედ ხმა დადის, რომ ეგერს 1.000,000 მარკა წაუღია თანაო. ბანკი ამ გარემოების შესამოწმებლად დროებით დაკეტილი იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 8 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{86}$ | $7,_{90}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $156^3/_4$ | $157^1/_4$ | — „ |
| ძანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | $1,_{12}$ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 237 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $219^1/_2$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | 197 | $197^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | $101^1/_2$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . | 99 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $101^1/_2$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_2$ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## განცხადებანი


სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში

22 აპრილს 1892 წლისას, საღამოს 8 საათზე, ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად სომეხთა ეკკლესიებისათვის წმინდა სანთლის ყიდვისა.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე.

კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში იქნება.

საზოგადო კრება

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგნები კრებისა:

1) ახალი წევრების ამორჩევა;

2) 1 ოქტომბრის 1890 წლ.— 1 აპრილის 1892 წლ. ანგარიშის დამტკიცება;

3) ახალის მმართველობისა და კომისიების ამორჩევა.

ვისაც წარსულის წლის საწევრო ფული (5 მ.) არ შემოუტანია, კრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მმართველობა უმორჩილესად სთხოვს წევრებს, საწევრო ფულის შემოტანა დააჩქარონ.

(5—4)

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

ხელობაღა აქვს კეთება:

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებური) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—2)

ქ. ოზურგეთში

10 მარტიდგან ამა მიმდინარე წლისა მე-81, 82, 83 და 85 მუხლის თანახმად სავაჭრო წესდებისა დაარსებულია ურთიერთს ნდობაზედ (на Вѣрѣ) ამხანაგობა შემდეგის ფირმით: **ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა წარმოება მ. ო. ურუშაძისა და ამხ.**, რომლის უმთავრესი აზრი ის არის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, გაადვილოს და გააიაფოს ეტლით მოგზაურობა გურიაში და, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამჟამად ეტლები ამა ამხანაგობისა განსაკუთრებით ოზურგეთსა და რკინის გზის სადგურს ნატანებს შუა დადის საფოსტო და სახალხო მატარებლის დროს. ამხანაგობას ეხლავე **192 წევრი** ჰყავს. თითოეული წევრი ერთ-დროებითად იხდის **ოც-და-ათ მანეთს** და ამ ნაირად ძირეული თანხა ამხანაგობისა **5760 მანეთია.**

საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: პირველად **ათი** მანეთი და დანარჩენი **ოცი** ექვსის თთვის განმავლობაში. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა, მიჰმართოს ამ ადრესით: „Въ Озургетское товарищество вольныхъ экипажей М. О. Урушадзе и К°. (6—4)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| კედლის კალენდარი 1892 წ. მრავალის ცნობებით . . . . | „ | 40 |
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე, ყდით . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . — . | „ | 80 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| იგივე, ყდით . . . . . . . . . | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . . — . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი შედგ. ვ. გუნიას-მიერ . . . | „ | 45 |
| სახალხო კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| უბის წიგნი (მშვენიერის ყდით) მისივე . . . . | „ | 50 |
| მაცი ხვიტია, მოთხ. ან. ფურცელაძისა. . . . . | „ | 40 |
| ამპარტავანი გიორგი. თარგ. ილ. ფერაძისა . . . . | „ | 15 |
| კრილოვის არაკები, აკაკისა. . . . . — . | „ | 30 |
| დ. ბაქრაძე, ბიოგრაფიული წერილი . . . . . | „ | 50 |
| „ცდა“ III წ. . . . . . . . . . | „ | 20 |
| „სამი კომედია“ ავქ. ცაგარლისა . . . . . | „ | 60 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . . | „ | 15 |
| სამი ცელქი, შ. მღვიმელისა . . . . — . | „ | 20 |
| ძუნწი, მისივე . . . . . . . — . | „ | 13 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 9-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.